

## სეზონური სკოლების 2016 წლის საგრანტო კონკურსი

### ხშირად დასმული კითხვები

#### სარჩევი

ორგანიზაცია | ხელმძღვანელი | პერსონალი | უცხოელი მონაწილე  
საპროექტო წინადადება | ბიუჯეტი | თანადაფინანსება

#### ორგანიზაცია

**შეკითხვა:** ერთზე მეტი თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს თუ არა?

**პასუხი:** დიახ.

**შეკითხვა:** საჭიროა თუ არა ცნობა წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის ავტორიზაციის შესახებ?

**პასუხი:** არ არის საჭირო, მაგრამ საჭიროა იურდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები: წესდება / დებულება ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

**შეკითხვა:** თანამონაწილე ორგანიზაციის ბეჭედი საჭიროა თუ არა განცხადებაზე?

**პასუხი:** არ არის საჭირო.

**შეკითხვა:** შეიძლება, რომ სეზონური სკოლა ჩატარდეს უნივერსიტეტის ბაზაზე, თუ აუცილებელია სადმე სხვაგან ჩატარდეს?

**პასუხი:** სკოლის ჩატარების ადგილის შერჩევაში რაიმე შეზღუდვა არ არსებობს. თქვენ შეგიძლიათ სკოლა ჩაატაროთ გრანტის მიმღებ ორგანიზაციაში ან სხვა სივრცეში, თქვენი პროექტის მიზნების შესაბამისად.

**შეკითხვა:** შეიძლება რომ წამყვანი ორგანიზაცია იყოს „შპს“?

**პასუხი:** დიახ, თუ ის არის მოქმედი კანონის შესაბამისად ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს სეზონური სკოლის მიმართულების შესაბამისი კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო გამოცდილება.

## ხელმძღვანელი

- შეკითხვა:** შეიძლება, რომ ერთი მეცნიერი იყოს ორი პროექტის ხელმძღვანელი?
- პასუხი:** პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია კონკურსზე დაარეგისტრიროს მხოლოდ ერთი პროექტი.
- შეკითხვა:** თანახელმძღვანელი რომელი ორგანიზაციიდან უნდა იყოს, წამყვანიდან თუ თანამონაწილედან?
- პასუხი:** თანამონაწილედან.

## პერსონალი

- შეკითხვა:** შეიძლება თუ არა ერთი და იგივე პიროვნება ჩართული იყოს ერთზე მეტ პროექტში?
- პასუხი:** დიახ, შეიძლება, თუ იგი იქნება ჩართული პერსონალის სახით.
- შეკითხვა:** თუ მონაწილეს აქვს ხარისხის დიპლომები, მაშინ რომელი ხარისხის დიპლომი უნდა წარმოადგინოს?
- პასუხი:** რომელიც უფრო მაღალი ხარისხისაა და შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ სამეცნიერო მიმართულებას.
- შეკითხვა:** სკოლის მსმენელი შეიძლება თუ არა იყოს ბაკალავრი?
- პასუხი:** კონკურსის დებულების თანახმად (მუხლი 6.) აუცილებელია, რომ სამიზნე ჯგუფი ანუ „სეზონური სკოლის მსმენელები იყვნენ სტუდენტები (მაგისტრანტები, დოქტორანტები) ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თანამშრომლები (მაგისტრი, დოქტორი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო შვიდი წლის განმავლობაში“. აგრეთვე, მსმენელებს შორის შეიძლება იყვნენ სკოლის თემატიკით დაინტერესებული სხვა პირები, საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები: ბაკალავრები, ბაკალვარიატის სტუდენტები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებიც.

## უცხოელი მონაწილე

- შეკითხვა:** რამდენი უცხოელი ლექტორი უნდა იყოს ჩართული პროექტში?  
**პასუხი:** კონკურსი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას უცხოელი პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით.
- შეკითხვა:** რა დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოს პროექტის უცხოელმა მონაწილემ?  
**პასუხი:** აუცილებელია წამოადგინოს CV, დაინტერესების წერილი (Letter of Interest) და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- შეკითხვა:** გრანტი აფინანსებს საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს?  
**პასუხი:** შესაძლებელია მხოლოდ მოწვეული ლექტორის საერთაშორისო მგზავრობის ხარჯის ანაზღაურება. გრანტი არ აფინანსებს უცხოელი მსმენელისათვის საერთაშორისო მგზავრობის ხარჯებს.

## საპროექტო წინადადება

- შეკითხვა:** რას ნიშნავს კონკურსის მიმართულება ა და ბ?  
**პასუხი:** სეზონურის სკოლების კონკურსი ტარდება ორ მიმართულებად „ა“ მიმართულების კონკურსში მონაწილეობენ მხოლოდ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პროექტები, ხოლო „ბ“ მიმართულებაში - მეცნიერებების ყველა დანარჩენი მიმართულების პროექტები. „ა“ და „ბ“ კონკურსებისთვის დგება ცალ-ცალკე რანჟირებული სიები, რაც ნიშნავს რომ, „ა“ და „ბ“ კონკურსში მონაწილე პროექტები ერთმანეთის კონკურენტები არ არიან.
- შეკითხვა:** სეზონური სკოლის ლექციების კურსი დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ არა?  
**პასუხი:** დიახ. რაც უფრო მკაფიოდ იქნება აღწერილი სასწავლო პროგრამა, მით უფრო მაღალ შეფასებას მიიღებს პროექტი.
- შეკითხვა:** შეიძლება თუ არა სკოლა ჩავატაროთ წამყვანი ორგანიზაციის გარეთ, მაგალითად ბაკურიანში?  
**პასუხი:** შეიძლება.
- შეკითხვა:** სეზონური სკოლა მხოლოდ ერთჯერადად უნდა ჩატარდეს თუ შესაძლებელია ეტაპების სახით სხვადასხვა სეზონზე ჩავატაროთ?  
**პასუხი:** მისაღებია ერთჯერადი სეზონური სკოლა, რამდენიმე ეტაპიანი (სხვადასხვა სეზონზე), ასევე საკვირაო სკოლის (რამდენიმე კვირის განმავლობაში) მიმდინარე პროექტები, მაგრამ ეს უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიზნებს. მთავარია, რომ სეზონური სკოლის პროგრამა მოიცავდეს საერთო ჯამში მინიმუმ 30 აკადემიურ საათს და მთლიანობაში განხორციელდეს დადგენილ პერიოდში - 2016 წლის 31 მაისიდან 2017 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა, რომ სეზონური სკოლის ვებ გვერდი გავაკეთოთ კონკურსში გამარჯვების შემდეგ?

**პასუხი:** დიახ. სეზონური სკოლის ვებ-გვერდის არსებობა მოეთხოვება კონკურსში გამარჯვებულ/დაფინანსებულ პროექტებს. შესაძლებელია გაკეთდე სეზონური სკოლის ლინკი წამყვანი ორგანიზაციის ვებ გვერდზე.

## ბიუჯეტი

**შეკითხვა:** ლექტორი არ ითხოვს ჰონორარს, არის თუ არა ეს პრობლემა?

**პასუხი:** არა.

**შეკითხვა:** უცხოელს ხელფასს ვუხდით, თუ არა?

**პასუხი:** გრანტი ითვალისწინებს უცხოელი აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

**შეკითხვა:** ხარჯებს ვუნაზღაურებთ თუ არა ლექტორებს და რამდენით?

**პასუხი:** ვუნაზღაურებთ ტრანსპორტის, კვების, სასტუმროს ხარჯებს შრომის ანაზღაურებასთან ერთად. გრანტით გათვალისწინებული ხელფასების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტის 35%.

**შეკითხვა:** ერთი მონაწილის ხელფასის ზედა ზღვარი რამდენია?

**პასუხი:** არ არის განსაზღვრული, თუმცა ბიუჯეტის შესაბამისობა ფასდება კრიტერიუმებში და ხელფასის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დატვირთვის/ფუნქციების მოცულობას.

**შეკითხვა:** ბიუჯეტის ფორმაში უნდა შევიდეს საერთო ბიუჯეტის თანხები (თანადაფინანსების პუნქტების ჩათვლით), თუ მხოლოდ რუსთაველის ფონდისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი?

**პასუხი:** ბიუჯეტის ფორმაში შედის გრანტის სახით მიღებული თანხების განაწილება და დასაბუთება. „ინფორმაცია თანადაფინანსების შესახებ“ შეგიძლიათ ასახოთ ბიუჯეტის ფორმის ბოლოში თავისუფალ არეში. ასეთ შემთხვევაში მოკლედ (2-3 წინანდადება) მიუთითეთ თანადაფინანსების თანხების ოდენობა და ხარჯვითი კატეგორია.

**შეკითხვა:** ექსკურსიის ხარჯები გათვალისწინებულია თუ არა?

**პასუხი:** არა, ექსკურსიის / სოციალური პროგრამის ხარჯი გრანტიდან არ ანაზღაურდება

**შეკითხვა:** ტრანსპორტის დაქირავებისთვის ტენდერი საჭიროა თუ არა?

**პასუხი:** ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს წამყვანი ორგანიზაცია.

**შეკითხვა:** ექსპედიციის შემთხვევაში მძღოლი უნდა დავიქირავოთ?

**პასუხი:** შეგიძლიათ დაიქირავოთ.

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა გრანტის თანხით შევიძინოთ პროექტორი და ფოტოაპარატი?  
**პასუხი:** დიახ.

## თანადაფინანსება

**შეკითხვა:** თანადამფინანსებელი შეიძლება თუ არა იყოს კერძო კომპანია?  
**პასუხი:** დიახ. უფასო

**შეკითხვა:** შეიძლება თუ არა ჩაითვალოს თანადაფინანსებად პროექტის მონაწილის საკუთარი ხარჯებით შემოსვლა?  
**პასუხი:** დიახ. საჭიროა მიუთითოთ ბიუჯეტის რა კომპონენტს დააფინანსებთ და წარმოადგინოთ შესაბამისი დადასტურების წერილი.

**შეკითხვა:** წამყვანი ორგანიზაცია, უნივერსიტეტი, პროექტს უთმობს სამუშაო სივრცეს და კომპიუტერებს, ეს შეიძლება თუ არა ჩაითვალოს თანადაფინანსებად?  
**პასუხი:** თანადაფინანსება გულისხმობს ფულადი სახის მხარდაჭერას, თუმცა პროექტის მხარდაჭერა უფასო მომსახურებით ან ინფრასტრუქტურის, პროდუქტების ან მოწყობილობების თხოვებით, ასევე უნდა აისახოს საპროექტო წინადადებაშიც, როგორც თანამშრომლობის სახე (საპროექტო წინადადება 1.4 თავი).

**შეკითხვა:** სად უნდა ჩაიწეროს სხვა ორგანიზაციის (თანადამფინანსებლის) მიერ დასაფარი თანხები?  
**პასუხი:** ბიუჯეტის ფორმის ბოლოს, „სულ ბიუჯეტი“ გრაფის ქვეშ, თავისუფალ არეში შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერი: „ინფორმაცია თანადაფინანსების შესახებ:“ და მოკლეთ განმარტოთ (2-3 წინადადება) თანადაფინანსების ოდენობა და თუ რა ტიპის ხარჯებზე იქნება მიმართული თანადაფინანსება. იგივე ინფორმაცია უნდა დასტურდებოდეს თანადაფინანსების წერილშიც.

**შეკითხვა:** უცხოური ვალუტით თანადაფინანსების შემთხვევაში, თანხები როგორ აისახება ბიუჯეტში?  
**პასუხი:** მაგალითისათვის, ბიუჯეტში დაიწერება ასე: „5000 ევრო-ს ექვივალენტი ლარებში“.